

საგზიელო

ეროვნული
ნიშნითა

სპორტული გაზეთი სამუშაოთი 29 აპრილი 2008 №095 (3319)°

ფასი 50 თეთრი

გიგანტთა მკვლელები

საშუალოდ 0,34 ქულა
მატჩში და დილა
უმალესიდან გაზარდა



„ჯაიანტს კილერს“, ანუ „გიგანტთა მკვლელებს“ იმ გუნდებს უწოდებენ, ვარსკვლავებს რომ ვერ ეჭიდებიან, მაგრამ ბობოლეების გამწარება ძალუძთ.

ამ სეზონში ასეთია „ლოკომოტივი“, „ამერს“ ხუთი ქულა და საჩემპიონო ამბიცია რომ დააკარგვინა და ასეთია ცხინვალის „სპარტაკიც“, ბოლო ტურებში ჯერ „ვიტ ჯორჯიას“, ახლა კი „ზესტაფონს“ რომ დააკარგვინა ორ-ორი ქულა და მასთან ერთად, „დინამოს“ დანევის პრაქტიკური შანსიც.

ამასობაში გორის „დილაც“ გავარდა უმაღლესი ლიგიდან...


**უიკალოდ თავდასვიმ
მოგონი დიდი რაზმით
და სიტყვით გვესხმის
დღეიდან თბილისში:
პროტა საგზიელო**



ყველაზე ნაღდი ქართული ბრენდი ფარად ქცეული თასი ჩვენია!




22:20 დაბვიდაბთ ორს. დაბვიდაბთ ოთხს! ჩვენი ლელოები უსპანელ ლოგებს



გადრი ამთილბან ფოტო

რუსული პრემიერლიგა მეტნაკლებად თანაბარი ძალის გუნდებითაა გამორჩეული. ჩავხედოთ შედეგებს — ხშირად ხდება, „სპარტაკი“ ან ცსკა „ლუჩენერგიასთან“ და „ხიმკისთან“ კარგავენ ქულებს. ვინ ვის, როდის და სად მოუგებს, ვერ გამოიცნობ... სამაგიეროდ, შეხედეთ „რუბინს“ და ყველაფერი ნათელია: ყაზანელებს შვიდ ტურში შვიდი მოგება აქვთ და სასიამოვნოა, რომ ლაშა სალუქვაძე და განსაკუთრებით, **დავით კვიციანი** გუნდის ნამყვანი ფეხბურთელები არიან. კვიციანი ნინა ტურში ლამაზი გოლი გაუტანა მოსკოვის „დინამოს“ და პრემიერლიგის სიმბოლოურშიც მოხვდა. დათოს გუშინ ყაზანში რომ დავეუკავშირდით, ნინა ინტერვიუს დარად, ახლაც გვთხოვა, საქართველოს ნაკრებზე ნუ შემიკითხებითო. მიზეზი კი არ გვითხრა...



დავით კვიციანი (№27) ულამაზესი გოლი

ამ ლიდერი არაპინაა

დავით კვიციანი: ნაკრებზე — არა, რუბინზე — კი

— „რუბინი“ აღარ ხუმრობს. თვლი, რომ ჩემპიონობისთვის ბოლომდე იბრძობლებო?
 — ცხრილიდან გამომდინარე, რატომაც არ უნდა ვიფიქროთ ჩემპიონობაზე. ეგაა, წინ მთელი სეზონია და ერთი პატარა ჩავარდნაც საკმარისია, რომ სხვები წამოგვეწიონ. არ მინდა, ასე მოხდეს.
 — ჩავარდნისგან არც სხვა გუნდები არიან დაზღვეულები...
 — ასეა. ამ ეტაპზე „რუბინი“ ჩემპიონობის ფავორიტია, თამაშითაც იმსახურებს პირველ ადგილზე ყოფნას. ეს ტემპი არ უნდა შევარჩიოთ.
 — მაინც რაშია „რუბინის“ წარმატების საიდუმლო?
 — შემადგენლობა გაძლიერდა, თან საკმაოდ. სწორი სელექცია ჩატარდა, ამასაც ხომ

მიხედვა უნდა — ვინ უნდა იყიდო, ვინ არ უნდა იყიდო... „რუბინმა“ სწორი ტრანსფერები გააკეთა.
 — გუნდის ლიდერად ვინ ითვლება?
 — გვეყავს რამდენიმე სახელიანი ფეხბურთელი, მაგრამ გუნდურად ისე ვართ შეკრულები, რომ არც ერთი მათგანი საკუთარ თავს გამოკვეთილ ლიდერად არ მიიჩნევს.
 — უკვე ორი გოლი გაიტანე შვიდ ტურში. შენი თამაშით ალბათ კმაყოფილი იქნები...
 — კი, კარგად მოვერგე აქაურობას. უკმაყოფილო რატომ უნდა ვიყო?
 — მარცხენა მცველად თამაშობ „რუბინში“, თუმცა ბევრის აზრით, კვიციანია მარცხენა ნახევარმცველად უფრო ეფექტურია...


— ჩემთვის ორივე პოზიცია ნაცნობია, მიკვირვებ და ღიად მნიშვნელობას არ ვანიჭებ, დაცვაში ვიქნები თუ ნახევარდაცვაში.
 — მომდევნო ტურში მოსკოვის „სპარტაკს“ მასპინძლობთ და ალბათ, პირველი წრის ყველაზე მძიმე მატჩი გელით...
 — ძალიან ძნელი თამაში იქნება. „სპარტაკი“ ყველა სხვა გუნდთან შედარებით, მაინც გამორჩეულია, თავისი სტილი აქვს, კარგ ფეხბურთს თამაშობს...
 — ნუკრი რევიშვილს გუნდთან ერთად ვარჯიში არ დაუწყია?
 — არა, ამ დღეებში დაიწყებს. ვერჯერობით ცალკე ვარჯიშობს.
 — ყაზანში გულშემატკივრები, ალბათ, მეცხრე ცაზე არიან. სტადიონი ივსება ხომ?
 — კარგი გულშემატკივრები გვეყავს, თუმცა სტადიონი არ ივსება და ამის მიზეზი ისაა, რომ ყაზანს კალათბურთში და ჰოკეიშიც მაგარი გუნდები ჰყავს. ასე ვთქვათ, განაწილებულები არიან — ზოგს ფეხბურთი უფრო უყვარს, ზოგს კალათბურთი... ჰოკეიში კი განსაკუთრებით ძლიერი გუნდი ჰყავს ყაზანს — „აკ ბარსი“.

— ქართველები რამდენად უყვართ ყაზანელებს?
 — მათგან სიტობს მეტი არაფერი მიგრძენია, მხარში გვიდგანან ქართველ ფეხბურთელებს.
 — ქართველების ფან-კლუბიც ხომ არ აქვთ შექმნილი?
 — ჯერ არა.

მიხეილ შორჟოლიანი

ბრანკო ივანკოვიჩის სათბილისო სამზადისი

საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატი, ხორვატი ბრანკო ივანკოვიჩი რამდენიმე დღეში თბილისში ჩამოვა.
 როგორც შევიტყვეთ, ივანკოვიჩს ქართული მხარე 1-2 მაისს ელის, თუმცა დაზუსტებული თარიღი ჯერ ცნობილი არ არის.
 წინასწარი ინფორმაციით, ივანკოვიჩი თბილისში ერთი დღით ჩამოვა და ფედერაციის ხელმძღვანელებსთან შეხვედრის შემდეგ ეროვნულ სტადიონს და ტექნიკურ ცენტრ „ბასას“ მოინახულებს.



ბრანკო ივანკოვიჩი


ჭელიძე ისევ ლიდერობს

ყაზანში სუპერლიგის მეშვიდე ტურში ჩემპიონატის ლიდერმა, ლაშა ჭელიძის ყიზილორდას „ქაისარმა“ შინ პეტროპავლოვსკის „ესილ-ბოგატირი“ 1:0 დაამარცხა.
 ქართველი მცველი მოედანზე 73-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე.
 რევაზ ძიძუაშვილის გაწვრთნილი ყაზანის „მახტიორი“ კი სტუმრად კუმტანის „ტობოლთან“ 1:2 დაამარცხდა.
 ლაშა ნოზაძემ შეუცვლელად ითამაშა, ხოლო მეორე ქართველი ლეგიონერი — ლევან მელქაძე განაცხადში არ ყოფილა.
 მძებ ზვიად და გიზო ჯელაძეების უსტ-კამენოვო-რსკის „ვოსტოკი“ სტუმრად „ასტანას“ უგოლოდ გაეყარა.
 ქართველები ძირითადად იყვნენ და გიზო 74-ე წუთზე შეცვალეს. მანამდე მან ყვეთელი ბარათიც მიიღო.
 „ვოსტოკი“ სატურნირო ცხრილში მე-14 ადგილზეა.

ბრანკო ივანკოვიჩი — ლევან მელქაძე განაცხადში არ ყოფილა.
 მძებ ზვიად და გიზო ჯელაძეების უსტ-კამენოვო-რსკის „ვოსტოკი“ სტუმრად „ასტანას“ უგოლოდ გაეყარა.
 ქართველები ძირითადად იყვნენ და გიზო 74-ე წუთზე შეცვალეს. მანამდე მან ყვეთელი ბარათიც მიიღო.
 „ვოსტოკი“ სატურნირო ცხრილში მე-14 ადგილზეა.

ბრანკო ივანკოვიჩი

აშვეთია ალანია გაიხსენა



რუსეთის პირველი დივიზიონის მე-7 ტურში ქართველებით გადავსებულმა მახაჩყალის „ანჟი“ სტუმრად 0:1 წააგო ვლადიკავკაზის „ალანიასთან“.
 სტუმართა ფორვარდი, ერთ დროს საქართველოს ნაკრების წევრი მიხეილ აშვეთია, რუსმა ჟურნალისტებმა მატჩის სამ საუკეთესო ფეხბურთელს შორის დაასახელეს.
 გენსომებათ, აშვეთია ადრე „ალანიაში“ თამაშობდა და ამ მატჩს განსაკუთრებული მოტივაციით შეხვდაო, წერენ რუსები.
 აშვეთიას ამ სეზონში ჩატარებულ 6 მატჩში 2 გოლი აქვს გატანილი. ამ მარცხით „ანჟი“ მეოთხე ადგილზე დაეშვა, თუმცა კვლავ პრემიერლიგაში გადასვლის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება.

ბრანკო ივანკოვიჩი

დავით თარგამაძე სამიანებში დაბრუნდა

დავით თარგამაძე ტრავმის შემდეგ დაუბრუნდა „ფრაიბურგის“ 19-წლამდელთა გუნდს.
 „ფრაიბურგის“ ახალგაზრდებს საჩემპიონო მატჩი ჰქონდათ ლიდერ „შტუტგარტთან“, რომელთანაც 3 ქულას აგებდნენ. სხვაობა იგივე დარჩა, შეხვედრა 3:3 დამთავრდა და თარგამაძის გუნდიც მეორე საფეხურს ძნელად თუ ასცდება.
 ჩვენთანამ ამ მატჩში 82 წუთი იბურთავა მარცხენა გარემარბად და ყვეთელი ბარათი მიიღო.



დავით თარგამაძე

ილია ნანოზაშვილი

საქართველოს პირველი ლიგა 19 ჩემპიონატი 24 ტური

აღმოსავლეთი	დასავლეთი
5. დინამო-გორი 2 0:3 კახეთი მუხრან 0:0 დინამო 2 გაგრა 5:2 ოლიმპიკი ვიტ ჯორჯია 2 3:0 რიხურა აგარა 2 7:0 ოლიმპი 2	სოფი 0:0 ზესტაფონი 2 მუხრან 1:0 კოლხეთი ტორკაო 0:2 სამტრია გაგრა 1:0 უნივერსიტეტი ფაზისი 0:3 გორი (მ)
გაგრა 24 13 6 5 51:36 45 ვიტ ჯორჯია 2 24 13 5 6 37:18 44 მუხრან 24 12 8 4 32:19 44 დინამო 2 24 12 7 5 33:19 43 რიხურა 24 11 6 7 37:32 39 ოლიმპი 2 24 8 8 8 30:33 32 კახეთი 24 9 4 11 36:36 31 აგარა 2 24 9 2 13 40:36 29 ოლიმპიკი 24 5 4 15 31:50 19 დინამო-გორი 2 24 0 6 18 17:65 6	მატაროელი 24 19 3 2 49:17 60 მუხრან 24 13 2 9 37:34 41 მურანი (მ) 24 12 5 7 32:20 41 ზესტაფონი 2 24 12 3 9 39:24 39 სოფი 24 9 7 8 33:25 34 კოლხეთი 24 9 6 9 33:30 33 კოლხეთი 24 8 7 9 29:33 31 სამტრია 24 8 4 12 32:46 28 უნივერსიტეტი 24 7 3 14 19:27 24 ფაზისი 24 2 2 20 17:64 8 „ფაზისი“ მოხსნილია გათამაშებიდან

ქართული უცხოეთში

არქივული
ინფორმაცია

მანთაუაშვილი გაორნდა, გოლაუი კი კანტი-კუნტად

ბობოლა ჩემპიონატებში მოთამაშე ქართველ ლეგიონერებს კარგი ტურები ჰქონდათ. კახა კალაძის, ზურაბ ხიზანიშვილის და ლევან კობიაშვილის გუნდებმა უკლებლივ მოიგეს, თანაც, სამივემ პრინციპულ მატჩებში...

„მილანი“ დავიწყეთ: „როსონერი“ „ლივორნოს“ 4:1 ძლიერ „ფიორენტინასთან“ ჩამორჩენა 2 ქულამდე დაიყვანა და ოთხეულში შესვლის შანსი გათმობის საფრთხეშია. „ლივორნოსთან“ 90 წუთი ითამაშა და 7,0 შეფასება მიიღო.

ხიზანიშვილს არ უთამაშია, მისმა „ბლეკბერნმა“ კი იქ იმარჯვა, სადაც ამ სეზონში ყველა გრანდმა ქულები დატოვა — 1:0 პორტსმუთში. და მინც, ზურას გუნდს ძალიან გაუჭირდება უფასო თასის საგზურის მოპოვება (ანუ შეექმნება ვაშლი, რაკილა „ასტონ ვილასთან“ 4 ქულას აგებს და 2 ტურია დარჩენილი).

ტრავმამოშუშებული კობიაშვილი „ჰამბურგი“ — „შალკეს“ მატჩში დაბრუნდა და ბოლო 21 წუთი ითამაშა. კობის გუნდმა კეენ კურანის სწრაფი გოლით 1:0 იმარჯვა და სასწაული უნდა მოხდეს, ჩემპიონთა ლიგის საგზური დაკარგოს — მესამე საფეხურზე და ექვსქულიანი ჰანდიკაპი აქვს მდევრებთან.

„შალკეს“ ბურთების შეფარდებით უსწრებს „ვერდერი“, რომელიც ალექსანდრე იაშვილის „კარლსრუეს“ 3:3-ზე გაეყარა. ქართველი შემტევი 56-ე წუთზე შევიდა მინდორზე, როცა მისიანები 1:2 აგებდნენ და თამაში გაამწვავა. მესამე გოლი ედმონდ კალანში სწორედ ჩვენთანის პასით გაიტანა.

მეორეხარისხიანი ქართველებიდან მხოლოდ ილია კანდელაკმა ითამაშა და სჯობდა, საერთოდ არ ეთამაშა. მისი „კარლ ცაისი“ „ჰოფენჰაიმთან“ 0:5 განადგურდა, ჩვენთან კი „კიკერისგან“ ყველაზე დაბალი შეფასება მიიღო. იენელეების ლიგაში დარჩენის შანსებს თეორიულად აღარ ეთქმის...

შვეიცარიაში სანდრო იაშვილის „თუნი“ ტოვებდა სუპერლიგას და „სენტ გალენთან“ მოგების შემთხვევაში კიდევ დარჩებოდა იმედის ნაპერწკალი, მაგრამ 1:1-ს დასჯერდა. იაშვილმა, რომლითაც ავსტრიული „შტურმი“ დაინტერესებული, 90 წუთი სკამზე გაატარა.

რაც შეეხება „შტურმს“, ავსტრიის მაქსჰუნდელსლიგის ბოლო ტურში გიორგი შაშიაშვილის გარეშე 3:1 სძლია „კერნტენს“, თუმცა მეთხუთსედი ადგილს და ინტერტოტოს საგზურსდა შესწვდა.

ჩეხეთში გიორგი განუგრავას „ბოლესლავმა“ მიჯრით მეთხუთსედი მოიგო („პლზენთან“ 3:0), თუმცა ქართველს კვლავ არ უთამაშია — ის დუბლებში გაისარჯა და ერთი საგოლე პასი ვახერხა.

სამაგიეროდ, სლოვაკური „ნიტრას“ დუბლებშიც და ძირითად გუნდშიც იბურთავა ირაკლი ლილუაშვილმა — შესაბამისად, 80 და 19 წუთი. „ნიტრას“ ძირითადმა შემადგენლობამ „ზლატე მორავცეს“ 2:0 მოუგო და მესამე ადგილზეა.

აზერბაიჯანში აღსანიშნავი მხოლოდ გიორგი ადამიას მორიგი გოლი იყო. „ნეფთჩის“ ლიდერმა თავისიანები დააწინაურა კახა ცხადაძის „სტანდარდთან“ მატჩში, თუმცა საბოლოოდ 1:1 და, „ნეფთჩი“ კვლავ დაეწევა ლიდერ „ოლიმპიკს“ — მეორე ადგილზეა და, სავარაუდოდ, არც ქვევით ჩაეშვება.

ლიტვაში ნუკრი მანჩხავამ და აკაკი ზუბუტიაძემ სრულად ითამაშეს სტუმრად „ატლანტასთან“ (1:1). ლატვიაში ზურაბ მენთაშვილი გამოჩნდა: საქართველოს ნაკრების ნახევარმცველს ტრავმა ჰქონდა. ზურა 68-ე წუთზე შევიდა „რიგა“ — „ვენტსპილსის“ (1:0) მატჩში.

„სკონტოს“ ქართული ტრიოდან მხოლოდ ვლადიმერ დვალისვილი ითამაშა და ბოლოს შეცვალეს, დავით გამეზარდაშვილი და ზაალ ელიაშვილი კი მინდორზე არ შესულან. რიგებებმა „მეტალურგს“ სტუმრად 2:1 აჯობეს.

ლატვიის ჩემპიონატში ხუთი ტურის შემდეგ „ვენტსპილსი“ ლიდერობს, თუმცა თამაშით და 2 ქულით ნაკლები აქვს თამაშ პერტის გაწვრთნილ „დინაბურგს“.

ქართული დები ვერ გამოვიდა „ლოკომოტივ“ — „ნალჩიკში“, რაკილა მოსკოველთა გუნდში მალხაზ ასათიანი და დავით მუჯირი სათადარიგოები იყვნენ. ყაბარდოლეებში კი სამივე ქართველმა ითამაშა. ალექო ამისულაშვილმა სრულად იბურთავა და ასევე იქნებოდა გოგია გოგუა, თუმცა იგი ბოლო წუთზე გააძევეს მეორე ყვითლით. დავით სირაძე კი 61-ე წუთიდან ჩაერთო მატჩში.

გოგუას მეორე გაფრთხილება სიმულაციისთვის მისცეს, თუმცა ჩვენთან, უსამართლოდ დავისაჯეო: „მე, უბრალოდ, წავიქეცი საჯარიმოში, ფეხი დამიკურდა. მსაჯისგან არც მომიტხოვია პენალტი და რაკ სიმულაციაზე ლაპარაკი?! პირველ ყვითელსაც არ ვიმსახურებდი. რაკ შეეხება თამაშს, ფრე ლოგიკური შედეგია. მართალია, „ლოკომოტივი“ გვიტევედა, მაგრამ ჩვენ უფრო ბევრჯერ დავარტყით კარში“.

უკრაინაში ლადო ბურდულისა და გიორგი ციმაკურიძის „ზარიანში“ კიევი 0:3 დათმო „დინამოსთან“. ციმაკურიძემ სრულად ითამაშა და ყვითელი ბარათი მიიღო, ბურდული კი 53-ე წუთზე შეცვალეს.

კახა ალადაშვილის „ხარკოვმა“ შინ 0:3 წააგო ლაშა ჯაკობიას გარეშე მყოფ „ვორსკლასთან“. ჯაკობია ვერა და ვერ მომჯობინდა სრულად, ალადაშვილმა კი ითამაშა და პირველ გოლში დაიღო წილი — პენალტი „აიკიდა“.

„დნიპრომ“ „ჩერნომორეცს“ 1:0 აჯობა და უფასო თასზე გასვლაში ალბათ ხელს ვერავინ შეუშლის. სანდრო კობახიძეს არ უთამაშია, ჯაბა კანკავა კი შესვენების შემდეგ ჩაერთო მატჩში — ერთი სახიფათო დარტყმითა და გაფრთხილებით გამოირჩა.

ილია ნანოზაშვილი

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
იტალია. სერია A								
კახა კალაძე	მილანი	ს	ლივორნო 4:1	90		27	0	5
ლევან მჭედლიძე	ემპოლი	ს	კალიარი 0:2	0	განაცხადში არ იყო	0	0	17
ინგლისი. პრემიერლიგა								
ზურაბ ხიზანიშვილი	ბლეკბერნი	ს	პორტსმუთი 1:0	0	განაცხადში არ იყო	17	0	8
ავსტრია. მატხუნდესლიგა								
გიორგი შაშიაშვილი	შტურმი	შ	კერნტენი 3:1	0	განაცხადში არ იყო	32	0	4
ავსტრია. ერსტლიგა								
მირზა ბჟალავა	ლუშტენაუ	შ	ფკ ლუშტენაუ 2:1	90		10	0	2
გერმანია. ბუნდესლიგა								
ლევან კობიაშვილი	შალკე	ს	ჰამბურგი 1:0	21	შეცვლაზე ითამაშა	12	1	3
ალექსანდრე იაშვილი	კარლსრუე	შ	ვერდერი 3:3	34	შეცვლაზე, საგოლე პასი	25	0	10
გერმანია. მეორე ბუნდესლიგა								
მათე ლენინაძე	მიუნხენ 1860	ს	გლადახი 2:2	0	ტრავმირებულია	13	0	9
ოთარ ხიზანიშვილი	ფრაიბურგი	შ	ფიურტი	0	განაცხადში არ იყო	2	0	5
გიორგი ონიანი	კარლ ცაისი	ს	ჰოფენჰაიმი 0:5	0	სათადარიგო	11	0	17
ილია კანდელაკი	კარლ ცაისი	ს	ჰოფენჰაიმი 0:5	90		15	0	17
გიორგი სეთურაძე	კარლ ცაისი	ს	ჰოფენჰაიმი 0:5	0	სათადარიგო	1	0	17
ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი								
შოთა არველაძე	ლევანტე	ს	უელვა 0:2	0	განაცხადში არ იყო	3	0	20
რუსეთი. პრემიერლიგა								
მალხაზ ასათიანი	ლოკომოტივი	შ	ნალჩიკი 0:0	0	სათადარიგო	0	0	2
დავით მუჯირი	ლოკომოტივი	შ	ნალჩიკი 0:0	0	სათადარიგო	2	0	2
დავით კვიციანი	რუზინი	ს	დინამო 2:0	90	1 გოლი, გააფრთხილეს	7	2	1
ლაშა სალუქვაძე	რუზინი	ს	დინამო 2:0	0	სათადარიგო	4	0	1
ნუკრი რევიშვილი	რუზინი	ს	დინამო 2:0	0	განაცხადში არ იყო	0	0	1
გოგია გოგუა	ნალჩიკი	ს	ლოკომოტივი 0:0	89	გააძევეს	7	0	10
ალექსანდრე ამისულაშვილი	ნალჩიკი	ს	ლოკომოტივი 0:0	90		7	0	10
დავით სირაძე	ნალჩიკი	ს	ლოკომოტივი 0:0	29	შეცვლაზე ითამაშა	7	0	10
ლევან გვაზავა	ლუჩენერგია	შ	ცსკა 1:3	90		7	1	14
რუსეთი. პირველი დივიზიონი								
გედევან დარასელია	ტორპედო	ტური	გამოტოვა			0	0	16
ვალერი აბრამიძე	ანჟი	ს	ალანია 0:1	90		7	1	4
გიორგი ნავალოსკი	ანჟი	ს	ალანია 0:1	90		6	0	4
მიხეილ აშვეთია	ანჟი	ს	ალანია 0:1	74	შეცვალეს	6	2	4
ზურაბ არზიანი	ანჟი	ს	ალანია 0:1	30	შეცვლაზე ითამაშა	4	0	4
რევაზ ჯიქია	ანჟი	ს	ალანია 0:1	0		2	0	4
გონა ხოჯავა	ანჟი	ს	ალანია 0:1	73	შეცვალეს	7	1	4
რევაზ ბარაბაძე	ანჟი	ს	ალანია 0:1	17	შეცვლაზე ითამაშა	3	0	4
პაატა ჯინჭარაძე	ბრიანსკი	შ	დინამო 4:0	83	შეცვალეს	5	0	11
ვია გრიგალავა	სკა	ს	კამაზი 1:1	0	ტრავმირებულია	0	0	15
შვეიცარია. სუპერლიგა								
სანდრო იაშვილი	თუნი	შ	სტ. გალენი 1:1	0	სათადარიგო	20	1	10
ჩეხეთი. გაგაზინსლიგა								
გიორგი განუგრავა	ბოლესლავი	შ	პლზენი 3:0	0	სარეზერვო გუნდშია	2	0	7
სლოვაკეთი. კორპონ ლიგა								
ირაკლი ლილუაშვილი	ნიტრა	შ	ზ. მორავცე 2:0	19	შეცვლაზე ითამაშა	4	0	3
დანი. სუპერლიგა								
გიორგი ფოფხაძე	ვიბორგი	ს	ნორდსილანდი 3:5	90		8	0	11
უკრაინა. ვიშა ლიგა								
ოთარ მარცვალაძე	დინამო	შ	ზარია 3:0	0		0	0	1
დავით იმედაშვილი	დინამო	შ	ზარია 3:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	1
კახა ალადაშვილი	ხარკოვი	შ	ვორსკლა 0:3	90		7	0	13
ლადო ბურდული	ზარია	ს	დინამო 0:3	53	შეცვალეს	20	0	14
გიორგი ციმაკურიძე	ზარია	ს	დინამო 0:3	90	გააფრთხილეს	3	0	14
ლაშა ჯაკობია	ვორსკლა	ს	ხარკოვი 3:0	0		0	0	9
ჯაბა კანკავა	დნიპრო	შ	ჩერნომორეცი 1:0	45	შეცვლაზე ითამაშა	20	3	4
სანდრო კობახიძე	დნიპრო	შ	ჩერნომორეცი 1:0	0		1	0	4
გიორგი დემეტრაძე	არსენალი	ს	მ. შაპოროვიცი 1:0	0		18	3	6

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში



ვიტალი დარასელიას უმაღლესი დამარცხი

თბილისი. 26 აპრილი. 16 საათი. მინი. 300 მაყურებელი

მერანი 0:1 ლოკომოტივი

0:1 დარასელია (14)

მერანი: თევდორაძე, გ. გოჩიაშვილი, გიგაური, ლ. გრიგალაშვილი, სარალიძე, ჯანგიძე, კობერიძე, ლოლაძე, ბაკურაძე, იაგო დვისაძე, იაკობ დვისაძე (ფლენტი 59), კობერიძე

ლოკომოტივი: მ. ალავეიძე, დ. ფოფხაძე, ციტიშვილი, გულორდავა, ნულაძე, ქუხილაძე, კახაბიძე (გ. კვასიაძე 46), ი. სახარაძე, ს. გილაური (ბახტაძე 71), დარასელია, ალექსიძე

მწვრთნელი: გოჩიაშვილი (59)

მსაჯეები: გ. ვადაჭკორია, დ. სანოძე, ლ. თოდრია, ლ. ხილაგავა



ლევან ციტიშვილი და ვიტალი დარასელია

ზედ საფინალო სასტევენის წინ ლევან ბაკურაძემ ძელს გაარტყა ბურთი, დამატებაზე კი ვლადიმერ გოჩიაშვილმა თავით ააცილა.

ერთადერთი გოლის გატანა კი დარასელიას ეწერა: მე-14 წუთზე ვიტალიმ ერთი მეტოქე მოატყუა, მეორე სისწრაფეში ჩამოიტოვა და 17-18 მეტრიდან ცხრიანში ჩააჭვდა ბურთი — 0:1.

მთლიანობაში კი „მერანმა“ თამაში ვერ დააღაგა. „ლოკომოტი-

ვი“ უფრო უტევედა და მარტო რატი ალექსიძეს რამდენჯერმე შეეძლო ანგარიშის გაზრდა — რატი ბევრს მუშაობდა, აქტიური იყო და ერთხელ თავით, ერთხელ კი ცაციათი ისეთი დაარტყა, რევაზ თევდორაძეს დიდი ჯაფა დააღაგა მოსაგერიებლად.

ლევან ციტიშვილი ცენტრალური მცველი გახლდათ და ხშირად იწყებდა შეტევებს, ერთი-ორჯერ კარგი პასიც გააკეთა და თანაგუნ-

დელებმა ვერ დაუფასეს.

დარჩენილ 3 ტურში „ლოკომოტივის“ სტუმრად „დინამოსთან“ დარჩა სათამაშო, „სპარტაკს“ და „ბათუმს“ კი უმასპინძლებს და თუ სასწაული არ მოხდა, ლიგაში ადგილს თავისუფლად შეინარჩუნებს. აი, „მერანს“ კი უჭირს — ერთი კია, ეჯიბიშვილის გუნდს ყველა მატჩი ისეთი შემართებით რომ ჩაეტარებინა, როგორც შაბათს, ვინძლო, ცხრილში ცოტა ზემოთ ყოფილიყო...

ილია ნანოვაშვილი

„ლოკომოტივს“ სულზე მიუსწრო სამი გამოცდილი ფეხბურთელის შემატება — ვიტალი დარასელიამ, რატი ალექსიძემ და ლევან ციტიშვილმა აშკარად გააძლიერეს ვაკელთა გუნდი და აი, შედეგიც: ზედიზედ სამი მოგების შემდეგ გიორგი კიკნაძის გაწვრთნი-

ლებს თავი თითქმის ქუდში აქვთ, 4 ქულით დასცილდნენ საპლეიოფო ადგილს, ხოლო გასაყარდნ ზონაში მყოფ „მერანს“ უკვე 7 ქულით უსწრებენ. მოკლედ, „მერანს“ რომ ემარჯვა, ძალიან დაიძაბება და ცხრილის ქვედა ნაწილი...

შაბათს „მერანს“ თითქმის ოპტიმალური თერთმეტეული ჰყავდა და ქულის აღებასთანაც ახლოს იყო:

გორის დილა მარტოლა დაგორდა

მინი. 26 აპრილი. 16 საათი. შ. ზინკაძე 400 მაყურებელი

გორი 3:2 დილა

0:1 შატაკიშვილი (7), 1:1 ჩირიკაშვილი (14), 1:2 გვეტაძე (42), 2:2 ქარქუაშვილი (43), 3:2 ჩირიკაშვილი (56)

გორი: სეფიაშვილი, კირთაძე (გოგიჩაიშვილი 46), ქარქუაშვილი, ვაკუბაძე, ქაჯარაძე, გივი ჩხეტიანი, ვ. ბოლქვაძე (ნასყიდაშვილი 76), ჩირიკაშვილი, შ. გრიგალაშვილი (გუგავა 68), სათადარიგო: დათუნაშვილი, ნ. ლომიძე

დილა: ცერცვაძე, რატიანი, ტლაშაძე (ჩერქეზიშვილი 33), ბალიაშვილი, ნოზაძე (იჩქითი 67), ი. ლომიძე, სადალაშვილი, შატაკიშვილი, გ. ნინამძღვრიშვილი (რეჩვიაშვილი 46), გვეტაძე, სათადარიგო: კუჩუაშვილი, ვარდოსანიძე, გიორგიშვილი, აბრამიშვილი

მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე

მსაჯეები: გ. ქაჭუა, ნ. რუსიშვილი, ი. მაჩიტაძე, გ. კიკაჩიშვილი

ამ თამაშმა ერთი რამ ოფიციალურად გადაწყვიტა — გორის „დილა“ ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურით ადრე პირველადიგადა.

თამაში მასპინძელთა უპირატესობით კი დაიწყო, მაგრამ მათ საკმაოდ მოულოდნელი გოლი მიიღეს — მე-7 წუთზე სადალაშვილმა მარჯვენა ფლანგზე კარგად ითამაშა და საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს ქრისტეფორე შატაკიშვილმა ერთი შეხებით კარში მიუჩინა ადგილი, რითაც „დილას“ საუმაღლესი ცხოვრება რამდენიმე წუთით გაუხანგრძლივა.

ცოტა ხანში „დილას“ აღარ გაუმართლა — ირაკლი ჩირიკაშვილმა ჯარიმა ჩააწოდა, ოღონდ ისე, წესით, კარში რომ არ უნდა გასულიყო, მაგრამ გავიდა და 1:1.

გორელები ბოლო ხავეს 42-ე წუთზე ჩაეჭიდნენ, როდესაც გვეტაძემ მთელი მოედანი გაიბრინა, ყველა შემხვედრი მოატყუა და კონსტანტინე სეფიაშვილს ძელიდან ასხლეტით გაუტანა.

თუმცა „დილას“ სიხარული ერთ წუთში ჩაუშხამდა — ირაკლი ჩირიკაშვილის მორიგ სახიფათო ჯარიმას პირველი გივი ქარქუაშვილი დაუხვდა და 2:2.

მეორე ტაიმის დასაწყისში ჩირიკაშვილი, რომელიც ამ მატჩში უდავოდ საუკეთესო იყო, გოგიჩაიშვილის პასს საჭირო ადგილზე დახვდა და მასპინძლები დაწინაურა — 3:2.

მერე „დილას“ დაღლა დაეტყო — გორელები ორი ბურთის გამტანებს აღარ ჰგავდნენ და თუ მასპინძლებმა ვერ გაიტანეს მეტი, ეს უფრო მათი უხუსტობის ბრალია.

შენ ზევიტა ხარ, მე ქვევიტი: სპარტაკმა ზესტაფონს ჩემპიონობა აუმაღვრია

გორი. 26 აპრილი. 16 საათი. მინი. 80 მაყურებელი

სპარტაკი 2:2 ზესტაფონი

1:0 ხიდაშვილი (33), 1:1 კვასია (43), 2:1 ხიდაშვილი (67), 2:2 გელაშვილი (74)

სპარტაკი: კოდალაძე, კუმრიშვილი, ხაჭიძე, ქემოვიძე, მამუკაშვილი, დათუნაშვილი (ზამთარაძე 80), ტყეშელაშვილი, თარხნიშვილი, გოგონია, ხიდაშვილი (ქაჯარაძე 85), გ. კვარაცხელია (თეჭუმანიძე 67), სათადარიგო: ქვიციანიძე, მდგომევი, ხიზანიშვილი, ბაგაშვილი

ზესტაფონი: ჭანტურია, ს. თოდუა, უ. ლომიძე, საჯაია, აკუსაძე (ხიდაშვილი 73), ვიერია, რ. ონიანი, კვასია, ბ. გოგიჩაიშვილი, ბიტო (იონანიძე 44), ნ. კვასიაძე (გელაშვილი 60), სათადარიგო: რ. კვასიაძე, შ. ლონდაძე, დაუშვილი, სანტოსი

მწვრთნელი: დათუნაშვილი (65), საჯაია (70)

მსაჯეები: ა. ნონიკაშვილი, ზ. მენთეშვილი, ზ. ჯვარიძე, ზ. ასკაროლი

ტარიელ შოთენიაშვილი გორიდან

სტუმრებს, ცხადია, 3 ქულა ჰქონდათ დაგეგმილი და თავიდანვე შეუტეს მასპინძელთა კარს. ცხინვალელები არ შეუშინდნენ სტუმართა აქტიურობას და მედგრად დაუხვდნენ. საწყის 20 წუთში საგოლე მომენტი არ შექმნილა, რადგან მცველები უშეცდომოდ მოქმედებდნენ და თამაზიც მეტწილად

საჯარიმოებამდე მიმდინარეობდა. პირველი სახიფათო მომენტი მასპინძლებმა შექმნეს. 22-ე წუთზე სევასტი თოდუა შეცდა და გიორგი ხიდაშვილმა მწვავე გადაცემა გააკეთა საჯარიმოში, მაგრამ გრიგოლ ჭანტურია ზუსტად ითამაშა.

ანგარიში საკმაოდ მოულოდნელად გაიხსნა — 33-ე წუთზე ხიდაშვილმა „ზესტაფონის“ საჯარიმოსთან დაკარგა ბურთი, მაგრამ ბრძ-

ოლა არ შეუწყვეტია, ბურთი დაიბრუნა და 20 მეტრიდან შორეულ კუთხეში ზუსტად დაარტყა. ჭანტურია ნახტომი დააგვიანა — 1:0.

„ზესტაფონის“ შუახანში კიდევ უფრო უმატა ტემპს და ტაიმის ბოლოს სტუმრებმა წონასწორობა აღადგინეს — 43-ე წუთზე ვილვან ვიერამ მიაწოდა საჯარიმოს წინ მყოფ პოლ კვასანს, რომელმაც უძლიერესი დარტყმით მაღალ კუთხეში გაგზავნა ბურთი — 1:1.

მეორე ნახევარიც „ზესტაფონის“ შეტევებით განახლდა, „სპარტაკი“ კი უკან ჩასაფრდა.

57-ე წუთზე სტუმრებს ჰქონდათ დაწინაურების რეალური შანსი. ზურაბ იონანიძე დაეუფლა მცველების მიერ მოგერიებულ ბურთს, მაგრამ კარში დარტყმა დააგვიანა.

მაღევე მასპინძლებსაც შეეძლოთ ანგარიშის შეცვლა — ნუკრი გოგონიამ ძლიერად დაარტყა ჭანტურია კარში, მაგრამ ოდნავ არაზუსტად. სამიოდ წუთში კვლავ გოგონიას მიეცა შანსი, მაგრამ მცვე-

ლებმა მისი დარტყმა მოიგერიეს. და მინც: 67-ე წუთზე მასპინძლები დაწინაურდნენ.

გოგონია ბოლომდე ებრძოლა უნალობჟანძის, წაართვა ბურთი და ზუსტად გადააწოდა საჯარიმოში ხიდაშვილს, რომელმაც ტექნიკური დარტყმით ანგარიში 2:1 გახადა.

სტუმრებმა უკანმოუხედავად შეუტეს, კიდევ ერთი შეცვლა განახორციელეს, რითაც მათი თამაში უფრო გაძლიერდა.

74-ე წუთზე თოდუამ მაღალი ჩააწოდა საჯარიმოში და უმეთვალყურეო გელაშვილმა თავურით ზუსტად გაგზავნა კარში — 2:2.

დარჩენილმა წუთებმა სტუმართა შეტევებში ჩააბრა. განსაკუთრებით აქტიურობდა ვიერა-ონიანის ტანდემი. მათ ორჯერ შექმნეს კიდევ საგოლე მომენტი — 78-ე წუთზე ვიერას ჩაწოდებულს ონიანმა თავით ოდნავ არაზუსტად დაარტყა, ხოლო 82-ე წუთზე ასეთივე კომბინაციის შემდეგ ბესიკ კოდალაძემა იხსნა კარი აშკარა გოლისგან...

Table with 4 columns: Team Name, Goals, Assists, Points, and Time. Lists teams like Dinamo, Spartak, etc.

ატლანტა ნაბეა დაასველა პარკირმა ფინიქსის მზა დაახედა

25-27 აპრილი
ფინიქსი 2:2 ფილადელფია
ფილადელფია 95:75 ფინიქსი
ფილადელფია: მილერი (21), იგუდალა (10 ქულა, 6 ჩაჭრა, 4 დაფარება), დალამბერი (22 ქულა, 16 მოხსნა)
ფინიქსი: პამილტონი (23), პრინსი (18 ქულა, 5 ჩაჭრა), ბილაფსი (11)
ფილადელფია 84:93 ფინიქსი
ფილადელფია: იანგი (15 ქულა, 9 მოხსნა), დალამბერი (12 ქულა, 12 მოხსნა), მილერი (13), გრინი (13)
ფინიქსი: პრინსი (23), უოლსი (20 ქულა, 10 მოხსნა), ბილაფსი (18), პამილტონი (18)

„ფილადელფია“ აგრძელებს აღმოსავლეთის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის დატერორებას. დეტროიტში სენსაციურად დაწყებული ეს სერია ფილადელფიაში არანაკლები მოულოდნელობით გაგრძელდა, რაშიც მასპინძელთა 20-ქულიანი გამარჯვებას ვეულისხმობ.

დეტროიტელთა მორიგი დაცემა სერიის მესამე მატჩში მოხდა. „ფილადელფიაში“ სულ პირველი თამაში რომ მოიგო მანქანათმშენებელთა ქალაქში, ბევრმა ეს მაქსიმუმად ჩაუთვალა და თუ ის კიდევ ერთხელ ასე ლაზათიანად მოიქნედა კედს, ცოტა თუ წარმოიდგენდა.

მობერებული ანდრე მილერი ახლა ისეთ იმპაზზეა, კარიერაში ასეთი სეზონები ძველად თუ მოეძებნება. მან 25 აპრილს თავბრუ დაახვია „დეტროიტს“ მრავლისმნახველ დირიჟორ ჩონსი ბილაფსს და როცა დანარჩენმა ფილადელფიელებმა გაიქნიეს ხელი, „დეტროიტი“ 20-ქულიანი მარცხით დაისაჯა და სერიაში 1:2 ჩამორჩა.

დეტროიტელებს მომდევნო მატჩში უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდათ, რადგან წაგების შემთხვევაში ისეთ ვითარებაში აღმოჩნდებოდნენ, საიდანაც იშვიათად, ვინმე გამომპრალიყოს. ამიტომაც იყო, 2004 წლის ჩემპიონმა და აღმოსავლეთ

კონფერენციის ბოლო წლების მარადმა ფინალისტმა სერიის მეოთხე მატჩში საკუთარ თავს რომ აჯობა. „ფილადელფია“ არც ამ პრინციპულ მატჩში აპირებდა დანებებას, პირველ ტაიმში 10 ქულითაც დაჯაბნა მომხვედური, მაგრამ მესამე მოთხედში დეტროიტელებმა თავი გაიფიქსეს და მანამდე დავროვილი ბოლმა ერთიანად დანთხიეს გაურჩებულ ფილადელფიელებს. ტაიმონ პრინსის წინამძღოლობით „დეტროიტს“ 34:16 იძალეს მესამე 12-წუთიულში და საბოლოოდ სერიაში ანგარიში გათანაბრეს.

ნიუ ორლეანი 3:1 დალასი
დალასი 97:87 ნიუ ორლეანი
დალასი: ნოვიცკი (32 ქულა, 19 მოხსნა, 6 პასი), ტერი (22), კიდი (8 ქულა, 11 მოხსნა)
ნიუ ორლეანი: პოლი (16 ქულა, 10 პასი), სტოიაკოვიჩი (13 ქულა, 10 მოხსნა), ვესტი (14 ქულა, 9 მოხსნა)
დალასი 84:97 ნიუ ორლეანი
დალასი: ნოვიცკი (22 ქულა, 13 მოხსნა), ტერი (20), პასი (12 ქულა, 9 მოხსნა)
ნიუ ორლეანი: ვესტი (24 ქულა, 9 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (19), პოლი (16 ქულა, 8 პასი, 7 მოხსნა)

ამ წყვილში უკვე თითქმის ყველაფერი მოთავსებულია. „ნიუ ორლეანი“ არ აღმოჩნდა მხოლოდ რეგულარულ ჩემპიონატში დროებით „აყვავებული“ გუნდი. მართალია, კრის პოლი და კომპანია ახალი შეკრებილია და საპლეიოფო გამოცდილებითაც ვერ დაიკვეხნიან, მაგრამ რაც შეუძლიათ, სრულიად საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ლამის საჩემპიონო ამბიციის მქონე „დალასი“ შავ დღეში ჩაეგდოთ.

დირკ ნოვიცკის გუნდი კედელზეა მიყენებული და „კრაზანების“ სასხლეტზე თითის გამოკვრას ელოდება. დალასელები 1:3 აგებენ და ამ გამოუვალი სიტუაციიდან რომ ვინმეს თავი დაეპყრონოს, ასეთი

რამ ნბა-ს მრავლისმნახველ ისტორიაში კი მომხდარა, მაგრამ ამჯერად ძალთა ბალანსი ისეთია, დალასელები ხეირს არ უნდა ელოდონ.

ნიუორლეანელებმა ეს სოლიდური უპირატესობა სერიის მეოთხე, დალასური მატჩში მოიპოვეს, რომელიც დიდი ჭაპანწვევების გარეშე 97:84 მოიგეს და ახლა დასავლეთის ნახევარფინალადე ერთი ნაბიჯიღა უკლიათ.

„შესანიშნავი გრძობაა, როცა 3:1 დაწინაურდები სერიაში, თუმცა ამით არ მოედუნდები — ამბობს „კრაზანების“ ციციქა, თუმც დიდი გაქანების გამოამაშებელი კრის პოლი — ეს ის ვითარებაა, რომელსაც მწვრთნელი გეგმავდა. ნიუ ორლეანში ამყად ებრუნდები“.

სან ანტონიო 3:1 ფინიქსი
ფინიქსი 99:115 სან ანტონიო
ფინიქსი: სტუდემიერი (28 ქულა, 11 მოხსნა), ბარბოსა (20), ონილი (19)
სან ანტონიო: პარკერი (4 ქულა, 12 მოხსნა), დანვანი (23 ქულა, 10 მოხსნა), ჯინობილი (20)
ფინიქსი 105:86 სან ანტონიო
ფინიქსი: ბელი (27), დიპო (20 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი), ბარბოსა (15), ნეში (15)
სან ანტონიო: პარკერი (18), დანვანი (14 ქულა, 10 მოხსნა)

ალბათ არიან ისეთები, რომლებსაც ახლაც სჯერათ, რომ „ფინიქსი“ სერიას მოიგებს, მაგრამ ეს პრაქტიკულად შეუძლებელია. „სან ანტონიო“ ის გუნდია, რომელსაც გამოუვალი სიტუაციებიდან გამოძრომა ხელეწიფება და ახლა, როცა მეტოქე კლანჭებში ჰყავს მომწვედელი, მისი საბოლოო განადგურების შანსს ხელიდან არაფრის დიდებით აღარ გაუშვებს.

არადა, სწორედ ამ წყვილში ელოდნენ ყველაზე უშეღავათო და საინტერესო ბრძოლებს. თუმცა ინტერესი არანაირად არ აკლია „ფი-

ნიქსისა“ და „სან ანტონიოს“ მატჩებს — ერთი ეგაა, ამ ორთაბრძოლების უმეტესობა მოქმედმა ჩემპიონმა მოიგო და დასავლეთის ნახევარფინალში თამაშაც თითქმის გაინაღდა.

მიმდინარე სეზონში „ფინიქსი“ მიჯრით სამი მატჩი არ წაეგო და ეს მაინცდამაინც საპლეიოფო სერიაში მოსისხლე „სან ანტონიოსთან“ შეემთხვა. სტუმრად წაგებული ორი თამაშის შემდეგ ფინიქსური პუბლიკა სერიაში ანგარიშშიც მყისიერ გათანაბრებას ელოდა, მაგრამ ტონი პარკერმა მასპინძლებს საღამო ჩაუშხამა.

არიზონელებმა, ეტყობა, დიდი ყურადღება დაუთმეს ტიმ დანკანისა და ემანუელ ჯინობილის გაუვნებლებას და ბოლო ხანს ტრავმებისგან დამძიმებული ტონი პარკერი გამოეპარათ. ფინიქსელები არ ელოდნენ, რომ ფრანგი გამოამაშებელი ლამის მარტო მოუთავებდა მათ ხელს. არადა, ყველაფერი სწორედ ასე მოხდა. პარკერმა შესაშური მიზანიც გამოავლინა და პასების კეთების უზადო ნიჭიც. მან 41 ქულას 12 პასი მიხა და ფინიქსელებს მზე დაუბნელა.

3:0-ის მერე სანანტონიოელებმა მომდევნო ფინიქსურ მატჩში დაისვენეს და ხვალ შინაურ არენაზე მთელი ძალით ეცდებიან ფინიქსელების საბოლოო დაშამათებას.

პოსტონი 2:1 ატლანტა
ატლანტა 102:93 პოსტონი
ატლანტა: სმიტი (27 ქულა, 9 მოხსნა), ბიბი (12), ჯონსონი (23), მ. უილიამსი (13), პორფორდი (17 ქულა, 14 მოხსნა); ფაჩულია (14 წუთი, 4 ქულა, 3 მოხსნა), ჩილდრესი (6), ლუ, ჯონსი, ვესტი
პოსტონი: რ. ალენი (13), რონდო (10), გარნეტი (32 ქულა, 10 მოხსნა), პირსი (17), პერკინსი (10); პოუზი (7), დევისი (2), კასელი (2), ბრაუნი, პაუსი, ტ. ალენი, პოუი
 „ატლანტა ჰოუქსმა“ პროგრამა-მაქსიმუმი მაშინ შეასრულა, როცა პლეი ოფში თამაშის უფლება მოიპოვა და ახლა რეგულარულის მომგებ „ბოსტონს“ სერიაში ანგარიშის დასველება რომ შეჰბედა, თავისი ფანები მეცხრე ცაზე აიყვანა.

„სელტიკსთან“ რომ უმჯობესად იყენებ ატლანტელები, ყველა იტყობდა. საქმე ის იყო, რომ უმჯობესად თუ არა პლეი ოფში უმჯობესად მძვრალი გუნდი სერიის მშრალად არწაგებას. ჯოშ სმიტმა „ქორებს“ ეს დილემა უკვე გადაუწყვიტა — „ატლანტა“ სერიის მესამე, შინაური მატჩი 102:93 მოუგო ჩემპიონობაზე დავემოდ „ბოსტონს“.

„მე გამახსენდა ის ძველი დრო, როცა დიადი დომინიკ ვილკინსის თამაშს ვუყურებდი — ჯოშ სმიტის ქებული გარჯის შემზვედვარე ბოსტონელთა თავკაც ლოკ რივერსს თავისი ლეგენდარული თანაგუნდელი გაახსენდა — მაშინც ასე იყო, ვიჯექი სათადარიგო სკამზე და ვუყურებდი დომინიკის სასწაულებს. დღეს ჯოშ სმიტმა ვილკინსით იფრინა და შანსი არ დაგვიტოვა“.

ძლიერად ითამაშა სასტარტოდან ზაზა ფაჩულიას ამომგდებმა ალ პორფორდმა, ვინც 17 ქულას და 14 მოხსნას მოუყარა თავი. რაც მთავარია, მან სირენამდე 22 წამით ადრე ის ბურთი ჩაუგდო „კელტებს“, რომელმაც გამარჯვებულის ვინობა გაარკვია.

ქართულ ცენტრს ტრადიციულად მცირე, ამჯერად 14 წუთი ებოძა და მანაც 4 საჯარიმოებით მოხვეჭილი ქულა შეაშეგლა ატლანტელებს.

ორლანდო 3:1 ტორონტო
ტორონტო 94:106 ორლანდო
ტორონტო: პოუზი (39 ქულა, 15 მოხსნა), ფორდი (12 ქულა, 13 პასი), პარკერი (12)
ორლანდო: ლუისი (27 ქულა, 13 მოხსნა), პოვარდი (19 ქულა, 16 მოხსნა, 8 დაფარება), ნელსონი (19)
ლიუიპრისი 3:0 დენვერი
დენვერი 84:108 ლიუიპრისი
დენვერი: ენტონი (16 ქულა, 10 მოხსნა), აივარსონი (15), კლეიზა (15)
ლიუიპრისი: ბრაიანტი (22), ფიშერი (14), გასოლი (14)
კლივლანდი 3:1 ვაშინგტონი
ვაშინგტონი 97:100 კლივლანდი
ვაშინგტონი: ჯემისონი (23 ქულა, 11 მოხსნა), ბატლერი (19), სტივენსონი (13)
კლივლანდი: ჯემისონი (34 ქულა, 12 მოხსნა), ვესტი (21)

ირაკლი პერტაია

ევროპა თბილისში დაითვლება



EUROPEAN SAMBO CHAMPIONSHIP TBILISI 2008

დღეიდან 2 მაისის ჩათვლით თბილისის სპორტის სასახლე სამბოში ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. საქართველოს დელაქალაქს 23 ქვეყნის ეროვნული ნაკრები ეწვია, მათ შორის ბებერი კონტინენტის ყველა უძლიერესი გუნდი საუკეთესო შემადგენლობებით.



ამათში ყველაზე მრავალრიცხოვანი რუსეთის დელეგაციაა — 55 კაცი. მათი თქმით, ისინი მხოლოდ და მხოლოდ გუნდური პირველი ადგილისთვის იბრძობებენ. ტრადიციულად, ნარჩევი სამბისტებით იჭიდავებენ აზერბაიჯანის, უკრაინისა და მოლდოვის ნაკრებები.

ევროპის პირველობა როგორც კაცთა, ასევე ქალთა შორის იმართება. შეჯიბრება 29 აპრილს 10 საათიდან დაიწყება. ორთაბრძოლები კაცებში პირველ დღეს 52, 62, 74, 90 და +100 კგ წონით კატეგორიებში ჩატარდება. ამვე დღეს ქალები 48, 56, 64, 72 და +80 კგ წონით

კატეგორიებში მოსინჯავენ ძალებს. 30 აპრილს კაცები 57, 68, 100 კგ-ში იჭიდავებენ, ხოლო ქალები 52, 60, 68, 80 კგ-ში გამორაკვევენ ევროპაში უძლიერესებს. საქართველოს კაცთა ნაკრები ტურნირზე სრული შემადგენლობით, ანუ 8 სპორტსმენიც წარდგება, ქალები კი არასრული შემადგენლობით დაიცავენ ჩვენი ქვეყნის ღირსებას.

1 მაისს კი წინასწარი და ფინალური შეხვედრები გაიმართება საბრძოლო სამბოში. ამ სახეობაში 52, 57, 62, 68, 74, 82, 90, 100 და +100 კილოგრამ წონით კატეგორიებში ერთ დღეში დამთავრდება ტურნირი. როგორც სამბოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა და ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ იაძემ გვითხრა, ისინი შეჯიბრების პირველ დღესვე გეგმავენ მედლებს და მათ შორის, ორი მაინც უმაღლესი ხარისხის უნდა იყოს.

საქართველოს ნაკრების მთავარი მეტოქე, რა თქმა უნდა, რუსეთის ეროვნული გუნდი იქნება. მთავარი ბრძოლებიც ამ ორ პრინციპულ მეტოქეს შორისაა მოსალოდნელი. ამ

ჯერადაც რუსები რიხით მოვიდნენ და იქდანან, რომ მორაგებების ჯვარს ამოიყრიან. რა თქმა უნდა, ჩვენს მეზობლებს ძლიერი გუნდი ჰყავთ, მაგრამ საკუთარი გულშემატკარებელი გამხრეველები ქართველი ფალავენებისგან მხოლოდ უმაღლეს შედეგებს ველოთ. აქვე მოგახსენებთ, რომ ბილეთის ფასი 2 ლარია და იმედია, ევროპის ჩემპიონატს არ მოაკლდება მაყურებელი.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში ევროპის ჩემპიონატი სამბოში პირველად იმართება, მაგრამ თბილისმა ამ ათილე წლის წინ (1997 წლის 10-12 ოქტომბერს) მსოფლიოს 21-ე ჩემპიონატს უმასპინძლა.

ზურაბ მიგრიაული

საქართველოს ნაკრები	
უშანგი კუზანაშვილი	— (52 კგ)
ავთანდილ ცინცაძე	— (57 კგ)
დავით სიმონიშვილი	— (62 კგ)
ბექა იმერლიშვილი	— (68 კგ)
კახა მამულაშვილი	— (82 კგ)
მინდია ბოდაველი	— (90 კგ)
მირიან პავლიაშვილი	— (100 კგ)
ზვიად ჩინჩალაძე	— (+100 კგ)





აპროვის ერთა თასი

საქართველო 22:20 ესპანეთი

26 აპრილი. თბილისი. პროვინცია. 15 საათი.

საბარტოშვილი: ბარკალია, ურჯუკაშვილი, დ. კაჭარავა, გიგაური, თოდუა, მალაღურაძე, აბუსერიძე (კაპ); დადუნაშვილი, ნატრიაშვილი, ქუბიაშვილი, ნემსაძე, გორგოძე, ურუშაძე, ჩხაიძე, ბასილაია

შეცვლაზე შევიდნენ: ს. მაისურაძე, მელიქიძე, უდესიანი, უჩავა, სამხარაძე, შვინინი, კვირიკაშვილი

4ლ: გორგოძე (3), ურუშაძე, 13 ბარკალია

ესპანეთი: სემპერე, კანო, კანოსა, ნავარი, მარტინი, გრატონი, ფეისო; მორენო, ბორხესი, სალასარი, არამბურუ, სოუტო, ისარი, კამაჩო, კრიადო (კაპ)

შეცვლაზე შევიდნენ: ალვარესი, მარლუტი, მისო, გონსალესი, სერანო, რეკვერდა

არ უთამაშია ვრედისა

2ლ: კანო, ფეისო; **2ზ:** გრატონი; **2ს:** გრატონი

მსაჯეები: კარლო დამასკო; დომენიკო სირონი, რიკარდო ბონაკორსი (ყველა იტალია)

ერთა თასის ყველა მოგზავი

2000	რუმინეთი	2003/04	პორტუგალია
2001	საქართველო	2005/06	რუმინეთი
2002	რუმინეთი	2007/2008	საქართველო

სამართგელო	10	9	0	1	+172	18
რუსეთი	10	8	0	2	+165	16
რუმინეთი	10	6	0	4	+130	12
ესპანეთი	9	3	0	6	-11	6
კორტუგალია	9	3	0	6	-18	6
ჩეხეთი	10	0	0	10	-447	0

დარჩენილი მატჩი: 10 მაისი ესპანეთი — პორტუგალია

სამართგელო! გვინდა გაზეთში პირდაპირი უნდა იყოს შეხვეული ვარია?

გამარჯვებულები არიან და, აბა, როგორ გავსამართლოთ, მაგრამ, ჩვენი ბორჯღალოსნები კრიტიკას კი ალაღად იმსახურებენ. დრო გაივლის და დარჩება შედეგი — შეიძლება წლის შემდეგ მეორედ, ამჯერად უკვე ორწლიან ფორმატში მოპოვებული ერთა თასი, 2007 და 2008 წლებში ათ თამაშში ცხრა გამარჯვება. მაგრამ დღეს, როცა ემოცია არ გაცივებულა და აღდგომისწინა ჯახის შთაბეჭდილებები ისევ თან გვდევს, აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ საქართველოს ნაკრები ძლივს გადაურჩა შინ სუსტ მეტოქესთან მარცხს.



მამუკა გორგოძემ ესპანელს ბურთი მაისურაიანად წაართვა

ცხრილში ჩაკარგულმა ესპანეთმა, ცოტა გაწყდა, ზეიმი არ ჩაგვიმწარა უდარდელ ქართველებს. არც რუმინეთი და არც რუსეთი, ჩვენთვის ყველაზე უხერხული მეტოქე სწორედ ესპანეთი გამოდგა, რომელთანაც „ბორჯღალოსნები“ შარშანაც დამარცხდნენ და ახლაც, ისევ კრასნოიარსკული შთაბეჭდილებებით დამუხტულებმა და ერთა თასის შინ დაგულებულებმა, ლამის აჩუქეს გამარჯვება.

კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რამხელა მნიშვნელობა აქვს რაგბში განწყობას და საბრძოლოდ დამუხტვას: სად სარუსეთოდ ერთ მუშტად შეკრული და მტრის გადათელვის სურვილით ანთებული ქართველობა და სად უღიმღამო ესპანეთთან ჩაროზი გასეირნება. იგივე მოთამაშეები კი იყვნენ მოედანზე, მაგრამ ეს სულ სხვა გუნდი იყო.

ესპანეთი ვერ იყო ქართველთა ზომა-წონის და ეს პირველივე წუთებში გამოჩნდა, როცა დევმა მამუკა გორგოძემ სტუმართა კნაჭა მცველი ტორებში მოიხელთა, ბურთთან ერთად მაისურაც წააძრო და ესპანური ლელოსკენ გაუტია, შემდეგ კი წამოსწრებულ თანაგუნდელს ბურთი ასე, ესპანურ მაისურაში გამოხვეული გაატანა გაზეთში შეხვეული მოხარული ვარიასავით. რაგბის დიდებულებს თამაშობენ და პატარებაც, ღონიერსა და სუსტს შორის სხვაობა ამ სპორტში ალბათ ყველაზე მეტად იგრძნობა, მაგრამ ერთ მორაგბეს მეორე ასე დაეჩაგროს და გაემასხარავეინოს, ამას სხვაგან ვერსად ნახავდით. მთლად შეგახრამუნებთ ამ საწყალებსო, ალბათ ამას ფიქრობდნენ ჩვენებურები და ამანაც უეჭველად დათვური სამსახური გაუწია ისედაც დაარზინებულებს. იმის მაგივრად, რომ მძლავრად მისწოლოდნენ და მეტოქის დაცვა შეეღწათ, მორკინალებმა ინციტატივა და პირველი ლელოს გატანის პატივი ხაზულეს დაუთმეს და... აქეთ მიიღეს ლელო. უპასუხისმგებლო პასების გამო ჩვენს შეტევებს ისედაც აკლდა სიმწვავე და ერთ-ერთი ასეთი პასი ესპანელთა კერძი შეიქნა, არადა, მათ ლელომდე ათიოდ მეტრი რჩებოდა. ესპანელებმა მოიგერიეს და ცოტა ამოისუნთქეს, მერე კი ქართველი მცვე-

ლის უხეირობით ისარგებლეს და ლელოც მოიმკეს. ოთარ ბარკალია ქართველთა 22-მეტრიან ზონაში ცულად დახვდა დაკიდებულ ბურთს და სანამ ხელში აიღებდა, ესპანელები მასთან გაჩნდნენ, მერე კი ფეხით მოგერიება რომ სცადა, მომხდურთა გარემარბმა ხუან კანომ დაუფარა და ლელოც დადო, მატო გრატონმა კი გარდასახვაც შეაგდო და მეექვსე წუთისთვის ესპანეთი 7:0 დაწინაურდა.

დალაგდნენ ვითომ ქართველები, ლელოს გატანაზე იწყეს მეცადინეობა და გორგოძეს სამიოდ მეტრი დააკლდა. ესპანელებმა კიდევ ერთხელ გადმოიკიდეს ბურთი ზურგში და ისევ ცულად დახვდა ბარკალია. იმ მომენტში კი გადავრჩით, მაგრამ რამდენიმე წუთში ცენტრში ქართველთა ერთი შეხედვით უწყინარ ჯარბმას მეორე ესპანური ლელო მოჰყვა: მათმა ცქვიტმა გამთამაშებელმა პაბლო ფეისომ ქართველებს 10 მეტრით უკან დახვეა არ აცადა, ჯარბმა სწრაფად გაუთამაშა საკუთარ თავს და ჩვენი ლელოსკენ მოკურცხლა. ქართველებმა ჯერ არ გააჩერეს, მერე კი ვეღარ გააჩერეს, ისეთი სიჩქარე აკრიფა და ასე მივიღეთ მეორე ლელო თავისი გარდასახვით. კიდევ რამ-

დენიმე წუთში გრატონმა საჯარიმოც შეაგდო და 0:17 ჩამორჩენილი ქართველები დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ.

მაგრამ, არ შეიძლებოდა იმ თამაშის წაგება და ჩვენმა ვაჟკაცმა მორაგებებმა ურთულესი ვითარებიდან შეძლეს თავის დაღწევა. ესპანელებს ათი თავით სჯობდნენ, საქმე ის იყო, უპირატესობას ქულებში როგორ ასახავდნენ. მაღლობა ღმერთს, რომ გვყავს მამუკა გორგოძე, ვინაც მოედანზე უდავოდ საუკეთესო იყო, მეტოქეს მუხლებში კვეთავდა და აკი მეორედ შეასრულა სანაკრებო ჰეთი თრიქი. ქართველებმა პირველივე ტაიმში მოასწრეს ესპანური დაცვის ორჯერ შეღწევა და ორივეჯერ გორგოძემ დაამიწა ბურთი, მეორედ მეექვსე (!) წამატებულ წუთზე. მაგრამ დამრტყმელები ვერ ხეირობდნენ და ამის გამო ჩვენებურებს ბლომად ლელოების გატანა დასჭირდათ სხვაობის გასაბათილებლად. თავიდან კარში ბარკალია ურტყამდა, რომელიც შაბათს აშკარად მარცხენა ფეხზე ამდგარიყო. კი გაიტანა მეორე გარდასახვა, მაგრამ ამის მერე ესპანელთა კარში ვერც მან და მერე ვერც სხვებმა ვერ გაატარეს ბურთი. ტაიმი 12:17 მორჩა და ამით ქართველობას აშკარად გამოგვიკეთდა წამხდარი ხასიათი

— მოედანზეც, ტრიბუნაზეც და ტელევიზორებთანაც.

მეორე ნახევარიც მძიმედ დაიწყო „ბორჯღალოსნების გუნდმა“ და მერვე წუთზე ესპანური საჯარიმოც მიიღო კარში, მაგრამ შემდეგ აშკარად დაჩაგრა მეტოქე და ორიოდ წუთში გორგოძის შესამე ლელოთი სხვაობისგან სამი ქულა დაარჩა — 17:20. კიდევ რამდენიმე წუთი და, ქართველთა შორის ასევე გამორჩეულმა რატი ურუშაძემაც დაამიწა ბურთი და საქართველო, ბოლოს და ბოლოს, წინაც გავიდა. ესპანელები საერთოდ ვერაფერს ახერხებდნენ და, ქართველებს უნარიანად რომ ემოქმედათ, შორსაც ჩამოიტოვებდნენ, მათ რომ ალარაფერი ვთქვათ პირველ ტაიმში დამუხტულ გაუმართლებელ შეცდომებზე და იმაზე, რომ ჩვენებურებმა 20-30 ქულით დასამარცხებელ მეტოქესთან ასე სათუოდ გაიხადეს საქმე.

ბარკალია აშკარად ვერ იყო ფორმაში, მაგრამ ვერც სხვა დამრტყმელებმა გამოიჩინეს თავი. მალხაზ ურჯუკაშვილსაც მოეცარა ხელი (ფეხი) და მერაბ კვირიკაშვილსაც. მოედანზე სხვებიც გვყავდნენ დამრტყმელები — ლაშა მალაღურაძე და თუნდაც კახა უჩავა, რომელიც მედრეხაზელი მორკინალი კია, თუმც საქართველოს ჩემპიონატში თამაშისას კარშიც ურტყამდა. მაგრამ ამით აღარ გაურისკავთ.

ძალიან ცულად ვაწოდებდით აუტებსაც: იური ნატრიაშვილი რიგიანი ჰუკერი კია და მთელი ეს ციკლი ძირითადად ითამაშა, მაგრამ დერეფანში ბურთის აგდება კარგად ვერ გამოსდის და ამის გამო უამრავი ბურთი დაიკარგა წინა მატჩებშიც და ახლაც.

მოკლედ, ეს არ იყო ტიმ ლენის გუნდის იდეალური თამაში, მაგრამ ისევ და ისევ დიდი მადლობა საქართველოს საუკეთესო გუნდს, რომელმაც პროფესიონალიზმი და ნებისყოფა გამოავლინა და მყიფე, მაგრამ მაინც გამარჯვებით დაასრულა ერთა თასი.

ჩვენ კი ერთი ვისურვით: ახალი სამწვრთნელო შტაბის ხელში ჯერაც დაუმარცხებელმა საქართველოს ნაკრებმა მომავალი, 2009-2010 წლების ერთა თასიც ასე მძლავრად ჩაათამაშოს, მით უფრო, რომ მომავალში სასწორზე ბევრად მეტი იდებდა. აუცილებელია, რომ გუნდი, ვთქვათ, ესპანეთ-პორტუგალიასთან თუ არა, რუმინეთ-რუსეთთან მაინც შეიკრიბოს სრული შემადგენლობით და გვყავდნენ ძმები ვიორგატეები, ზირაქაშვილი, ურჯუკაშვილი, მაჩხანელი... მომდევნო ერთა თასის ორი საუკეთესო გუნდი ხომ ყოველგვარი დამატებითი შესარჩევი ეტაპების გარეშე, პირდაპირ გავა 2011 წლის ახალი ზელანდიის მსოფლიოს თასზე და მეტოქეებისგანაც გაცილებით დიდი წინააღმდეგობა შეგვხვდება.

ირაკლი ფირაფხვილი

ნამატჩევს

ტიმ ლინი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „ვიცი, განერვიულეთ, მაგრამ იოლად მოგებას ხომ სჯობს, რომ ცოტა ქომაგმაც ინერვიულოს, მატჩი ასე უფრო საინტერესოა. ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა, სერიოზულად კი მატჩის დებუტში ორი შეცდომა დაეუშვით და ორჯერვე ლელო გავკვიტანეს. მიუხედავად ამისა, ბიჭების კმაყოფილი ვარ, მათ ბოლოდმე იბრძოდეს და თამაში გადაარჩინეს. პირადად მე, დარწმუნებული ვიყავი, რომ ანგარიშს ყველა შემთხვევაში გავთანაბრებდით და მოვიგებდით კიდევ. ჯარიმების კარში დარტყმას ან აუტში გადატანას მოედანზე გუნდი წყვეტს. სამწუხაროდ, დღეს ბევრი აუტი წავაგეთ, რაც ჩვენი სისუსტეა, შეცდომების გამოსწორება მატჩიდან მატჩამდე მოხდება, მომავალ მსოფლიოს თასამდე სრულყოფილი გუნდი გვეყოლება. ახლა ჩვენი მიზანია ერთა თასის მოგება იყო, ეს მოვახერხებთ და აქცენტიც ამაზე გვექონდა გაკეთებული.“

ჯად გლინი, ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „შედეგით, რა თქმა უნდა, უკმაყოფილო ვარ. სიმართლე გითხრათ, ვერც კი ვიცი ვინაა ის, რომ მატჩის დასაწყისშივე 17-ქულიანი უპირატესობა გვექნებოდა. როდესაც საქართველოს დარ მეტოქესთან ამხელა სხვაობით იგებ, თავი უნდა მოიკლა და უპირატესობა შეინარჩუნო. ჩემებმა, რაც შეეძლო, გააკეთეს კიდევ, მაგრამ დღეს ქართველების შეჩერება შეუძლებელი იყო. გილოცავთ ღირსეულ მოგებას და ჩემპიონობას“.

შან-კლოდ ბაკე: ქართველები თოვლში უკეთ თაბაშობთ



ქართველ-ესპანელი მწვრთნელ-მორაგებების შემდეგ FIRA-AER-ის ფრანგი პრეზიდენტი ჯან-კლოდ ბაკე გვესაუბრა, ვინაც მეორედ გვესტუმრა თბილისში და 2002 წლის ვიზიტისგან განსხვავებით, ამ ჯერზე, ჩვენდა საბედნიეროდ, რუმინელები კი არა, ქართველები დააჯილდოვა. ევროპული რაგბის თავკაცი მშვენიერ განწყობაზე გახლდათ და მალიძალ გვეხუმრებოდა.

პირველად არა ვარ თბილისში და მინდა გითხრათ, რომ 2002 წლის შემდეგ ცვლილებები ამკარაა. პირველ რიგში ეს ეხება მატჩის ორგანიზების დონეს, რომელიც ამკარად ამაღლდა. სტადიონი, სულ სხვაა. რაც შეეხება ამ მატჩს, ეს ისეთი თამაში იყო, სადაც სასწორი კარგა ხანს აქეთიქით ქანაობდა, თანაც მსაჯს მგონი დაევიწყდა, რომ სასტვენნი ჰქონდა. მხარეები ძალიან ნერვიულობდნენ, მაგრამ მე, როგორც ნეიტრალურ მკურნებელს დიდი სურვილი მქონდა, ეს სპექტაკლი რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელებულიყო. მე ენახე კრასნოიარსკში გამართული მატჩიც და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ თქვენ თოვლში უკეთ გამოგდით თამაში. სხვაგვარი კი ძალიან კარგია, რომ თასი საქართველომ მოიგო და ერთფეროვნება დაარღვია. თქვენ კარგი გუნდი გყავთ, მაგრამ მეტი განვითარებისთვის საჭიროა, უფრო მაღალი დონის მეტოქეებს, თუნდაც

ექვსი ერის წარმომადგენლებს ეთამაშოთ.

— ექვსი ერი ახსენეთ და, თეორიულად მაინც თუ განიხილება ერთა თასის გამარჯვებული გუნდების თამაში ექვს ერში?

— ამასწინათ მე შეეხვდი ექვსი ერის ქვეყნების წარმომადგენლებს და დავსვი ეს საკითხი, რომ ამოქმედდეს პერველ და მეორე ექვს ერს შორის დამარცხებულის და გამარჯვებულის ასვლა და ჩამოსვლა, მაგრამ როგორც კი ამ თემას შეეხებოდა იმ შემთხვევაში, თითქოს დენმა დაარტყათო. მე კიდევ დავსვა ამ საკითხს, ყოველ შემთხვევაში, მე იმის მომხრე ვარ, რომ დასაწყისისთვის იარსებოს პლეი ოფის სისტემამ — ექვსი ერის ბოლო და ერთა თასის პირველი გუნდები გადასასვლელ მატჩში მაინც შეხვდნენ ერთმანეთს.

— ფრანგული კლუბები ხშირად არ უშვებენ მოთამაშეებს სანაკრებო მატჩებში. როგორ შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება?

— დიახ, ეს ძველი პრობლემაა. ამისთვის საჭიროა ერთა თასის მონაწილე გუნდები დასხდნენ ერთ მაგიდასთან და თავად შეადგინონ კალენდარი. რაც მთავარია, მათ უნდა გაითვალისწინონ საერთაშორისო კალენდრის ფანჯარა და თამაშები დაეგვიანონ კლუბებისთვის თავისუფალ დროს. კერძოდ, ასეთი დღეებია ნოემბერში სამი კვირა, თებერვალ-მარტში ხუთი კვირა და ივნისში სამი კვირა.

ირაკლი ფირაზშვილი

აღდგომას ნუბეზის კარგია

საბარტველო 34:10 რუმინეთი
საბარტველო: კავთიძე, ტუაშვილი, კორკლია, ნიკლაური, კვიციანი, სმალაძე, როზდამე, მირცხულავა, კაკოვინი, თორაძე, იორდანაშვილი, ნიკოლაიშვილი, კობაური (კამ), ჩიჩუა, კოლედიშვილი
შეცვლაზე შევიდნენ: ჯოგლიძე, რევიშვილი, მძინარიშვილი, ინაშვილი, ცირეკიძე, სხულუხია, ჭინჭარაული
ნლ: ტუაშვილი (2), კავთიძე, სმალაძე, როზდამე; **პე:** ჯოგლიძე; **ს:** ჯოგლიძე


ჩილეში დასრულდა 20-წლამდელთა მსოფლიოს თასის B დივიზიონის გათამაშება, რომლის გამარჯვებული გაიხდა მსოფლიოს თასის ელიტარულ დივიზიონში ითამაშებს.

მსოფლიოს ჩემპიონად სწორედ ელიტარების სევე გუნდი ცხადდება და სამწუხაროდ, მათ შორის არ იქნება საქართველოს ნაკრები.

